

ენობრივი ცვლილების ბუნებისათვის

(ქართული ნეოლოგიზმების მაგალითზე)

გიორგი მელაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.meladze.4@iliauni.edu.ge

თეზისი

ბევრჯერ აღგვინიშნავს, რომ ლექსიკოგრაფია მეცნიერებაა, ხოლო ლექსიკოგრაფები ლექსიკონზე მომუშავე ლინგვისტები არიან. სერიოზული ლინგვისტური ცოდნისა და გამოცდილების გარეშე ლექსიკონზე მუშაობა სრულიად წარმოუდგენელია. მეორე მხრივ, ლექსიკონზე მუშაობა ენათმეცნიერს დიდძალი ლინგვისტური ინფორმაციის გაცნობა-გაანალიზებისა და საინტერესო მეცნიერული დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევს.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა პერიოდი, რომელიც 1990-იან წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება. 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამოქმედდა სოციო-ლინგვისტურად მნიშვნელოვანი სამი ფაქტორი, რომელმაც ქართული ენის ლექსიკური მარაგის სწრაფი განვითარება განაპირობა. ეს ფაქტორებია: (1) ქართულის მიერ დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო ენის სტატუსის მოპოვება; (2) თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მრავალპარტიული პლურალისტური პოლიტიკური სისტემის დანერგვასთან და ტოტალიტარული სახელმწიფო იდეოლოგიის მოსპობასთან ერთად; და (3) უახლესი კომპიუტერული და მობილური ტექნოლოგიების საყოველთაო გავრცელება. სამივე ამ ფაქტორმა ქართული ენა და მასზე მოლაპარაკე საზოგადოება სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა, რამდენადაც აუცილებელი გახდა ახალი რეალიების ამსახველი სიტყვების, გამოთქმებისა და ტერმინების შემუშავება და სალაპარაკო პრაქტიკაში მათი დანერგვა.

სწორედ ამიტომ, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ქართული ენა დაკვირვების, შესწავლისა და ანალიზისთვის მეტად საინტერესო ობიექტად იქცა და მდიდარ მასალას იძლევა საინტერესო ზოგადენათმეცნიერული დასკვნების გამოსატანად.

წინამდებარე სტატიაში არ შევეხებით თანამედროვე ქართულში მიმდინარე მორფოსინტაქსურ პროცესებს და ძირითადად ქართულის ლექსიკას და და მასში გაჩენილ ტერმინოლოგიურ, ტექნოლოგიურ თუ ზოგადენობრივ ნეოლოგიზმებს გავაანალიზებთ (სიტყვა „ნეოლოგიზმის“ რამდენადმე ფართო ინტერპრეტაციით).

ჩვენს სტატიაში შევეცდებით გავაანალიზოთ: (1) ცვლილებების (ე.ი. ენაში ახალი სიტყვების, იდიომების ან გრამატიკული კონსტრუქციების დამკვიდრების)

მექანიზმი; და (2) შეძლებისდაგვარად – ამ ცვლილებების უკან მდგომი სავარაუდო ფსიქოლინგვისტური და/ან სოციოლინგვისტური ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: დიაქრონია, ლექსიკოგრაფია, ლექსიკა, ნეოლოგიზმები

წინასიტყვაობა

პირად საუბრებშიც და ინდივიდუალურ თუ ერთობლივად დაწერილ სტატიებშიც „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის“ თანამშრომლებს არაერთხელ აღვნიშნავს, რომ ლექსიკოგრაფია მეცნიერებაა და ლექსიკოგრაფები ლექსიკონზე მომუშავე ნათემეცნიერები არიან. სერიოზული ლინგვისტური ცოდნისა და გამოცდილების გარეშე ლექსიკონებზე მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელია. თავად ლექსიკოგრაფიული მუშაობაც ღირებულ ლინგვისტურ გამოცდილებას და საინტერესო ლინგვისტური დაკვირვებების გაკეთებისა და საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იყო 90-იანი წლები, როდესაც ჩვენ დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის რედაქტირებასა და გამოცემაზე მუშაობას შევუდექით. სწორედ მაშინ დაიწყო კულტურულად, ისტორიულად, ეკონომიკურად, და აგრეთვე ლინგვისტურად, სავსებით ახალი ეპოქა, რომელიც, პრინციპში, დღესაც გრძელდება. აღნიშნულ პერიოდში სხვადასხვა ისტორიული და საზოგადოებრივი ფაქტორების თანხვედრამ გამოიწვია ქართული ენის შესვლა ენის დიაქრონიული განვითარების თვალსაზრისით მეტად საინტერესო სტადიაში. ეს ფაქტორებია: (1) ქართულის მიერ დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო ენის სტატუსის მოპოვება; (2) თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მრავალპარტიული პლურალისტური პოლიტიკური სისტემის დანერგვასთან და ტოტალიტარული სახელმწიფო იდეოლოგიის მოსპობასთან ერთად; და (3) უახლესი კომპიუტერული და მობილური ტექნოლოგიების საყოველთაო გავრცელება.

ამგვარად შეცვლილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ფონმა ქართული ენა და მასზე მოლაპარაკე საზოგადოება სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა, რამდენადაც აუცილებელი გახდა ახალი რეალიების ამსახველი სიტყვების, გამოთქმებისა და ტერმინების შემუშავება და სალაპარაკო პრაქტიკაში მათი დანერგვა. ამან კი, თავის მხრივ, ქართული ენის ლექსიკური მარაგის სწრაფი განვითარება და ენობრივ ცვლილებათა სხვა პროცესების გააქტიურებაც განაპირობა.

წინამდებარე სტატიაში ქართული ენის განვითარების სწორედ ამ მრავალმხრივ საინტერესო პერიოდზე დაკვირვების პროცესში გამოვლენილ ზოგიერთ კანონზომიერებას განვიხილავთ და მათ საფუძველზე რამდენიმე საინტერესო ზოგადლინგვისტურ დასკვნასაც გავაკეთებთ როგორც ასეთი, ენობრივი ცვლილების ბუნების შესახებ (რასაც მკითხველს, პრინციპში, სტატიის სათაურშივე დავპირდით). ამჟამად ქართულში მიმდინარე მორფოსინტაქსური / გრამატიკული პროცესები (ვნებითი გვარი, პერფექტი, ზოგადად ანალიტიზმის განვითარება) 2022 წლის დეკემბერში ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილ სტატიაში განვიხილე (მელაძე 2022) და აქ მათ აღარ შევხებით. ჩვენი მსჯელობის ძირითადი საგანი კი ქართულში გაჩენილი ტერმინოლოგიური, ტექნოლოგიური თუ ზოგადენობრივი ნეოლოგიზმები და მათი ენაში დანერგვის (ან ვერდანერგვის, ასე ვთქვათ) მექანიზმები და კანონზომიერებები იქნება. შეპირებულ დასკვნებსაც ენობრივი ცვლილების ბუნების შესახებ სწორედ ამ პროცესების ანალიზის საფუძველზე წარმოგიდგენთ სტატიის დასკვნით ნაწილში.

1. ქართული ენა ახალ რეალობაში.

1.1 „ინგლისურ-ქართულ სამხედრო ლექსიკონზე“ მუშაობის გამოცდილება

დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ნორმატიული ენათმეცნიერების მიერ რეკომენდებული სიტყვები ენაში ფეხს ყოველთვის ვერ იკიდებს. ამ საინტერესო მოვლენას პირველად ყურადღება 2009 წელს მივაქციეთ, როდესაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით „ინგლისურ-ქართულ სამხედრო ლექსიკონზე“ (ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინ-ლექსიკონი 2011) ვმუშაობდით. ჩვენი კონსულტანტები იყვნენ გიორგი ყალიჩავა და კახაბერ ჭაფოძე (თავდაცვის ეროვნული აკადემიიდან) და რობერტ ხაჩიძე (სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტადან“).

განსაკუთრებული აღნიშვნა არ უნდა იმ ფაქტს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენამდე სამხედრო საქმეში ქართული ენა არ გამოიყენებოდა (საბჭოთა ჯარში ქართულად არავინ ლაპარაკობდა და ქართველებს ერთმანეთთან მშობლიურ ენაზე ლაპარაკსაც კი გვიშლიდნენ). შესაბამისად, არც ქართული სამხედრო ტერმინოლოგია იყო აქტუალური. ამისდა მიუხედავად, სამხედრო შინაარსის ტერმინები შეტანილი იყო ტექნიკური ტერმინოლოგიის რუსულ-ქართულ ლექსიკონში (ტექნიკური ტერმინოლოგია 1977) და, გარდა ამისა, ივ. შაიშმელაშვილის რუსულ-ქართულ სამხედრო ლექსიკონში (ივ. შაიშმელაშვილი 1987). ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ სამხედრო საქმეში ქართული ენის მიერ დომინანტური ადგილის დაკავების შემდეგ ქართველი სამხედროები, განსაკუთრებით კი თავდაცვის ეროვნული აკადემიის თანამშრომლები სწორედ ამ, ენათმეცნიერთა მიერ ადრე შემუშავებულ, ტერმინებს გამოიყენებდნენ და აქტიურ ხმარებაში დანერგავდნენ. კონსულტანტებთან მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ რეალური სიტუაცია რამდენადმე განსხვავებული იყო. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თავდაცვის ეროვნული აკადემიის სხვადასხვა კათედრაზე პროფესორ-მასწავლებლები ერთი და იმავე სამხედრო ცნებებისა თუ რეალიების აღსანიშნად სხვადასხვა ქართულ ტერმინებს იყენებდნენ, ანუ ტერმინოლოგია უნიფიცირებული არ იყო. ეს ფაქტი ჩვენთვის რამდენადმე მოულოდნელი იყო და ქართული ჯარის მშენებლობის პროცესის დაუსრულებლობას მივაწერეთ. გაირკვა აგრეთვე, რომ ტექნიკური ტერმინოლოგიისა და სამხედრო ტერმინოლოგიის ზემოთ ხსენებულ ლექსიკონებში შეტანილი ქართული სამხედრო ტერმინების ნაცვლად ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების მეტყველებაში სხვა, მათსავე წიაღში შემუშავებული ტერმინები გამოიყენებოდა. მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ: ლექსიკონების მიერ შემოთავაზებული „**დაკუთხვა**“; „**კუთხვილის**“ (нарезка) ნაცვლად ჩვენს ჯარში თურმე „**დაჭდევა**“; ნაჭდევი“ იხმარებოდა (მაგ. სიტყვებში rifle (vb), rifling); „**კუთხვილიანის**“ (нарезной) ნაცვლად „**ნაჭდევიანი**“ (მაგ. სიტყვებში rifled barrel „ნაჭდევიანი ლულა“; rifled artillery „ნაჭდევიანი არტილერია“) და სხვ. ჩვენი სუსტი და მოკრძალებული პროტესტის საპასუხოდ სამხედროებმა გვითხრეს, ცეცხლსასროლი იარაღის ლულასთან მიმართებაში „კუთხვილს“ და „კუთხვილიანს“ თუ ვიტყვით, მთელს ჩვენს ჯარში ვერავინ მიხვდება, რას ვგულისხმობთო. რამდენადაც თავისი საქმის პროფესიონალებს ვესაუბრებოდით, რომლებსაც სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებსა თუ სამშვიდობო მისიებში ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული, ჩვენს ჯარში შექმნილ ლექსიკურ-ტერმინოლოგიურ რეალობასთან შეგუება მოგვიხდა. ზოგიერთ, ჩვენთვის

კარგად ცნობილ და ჩვენი აზრით საყოველთაოდ მიღებულ ტერმინზე სამხედრო კონსულტანტებმა ისიც კი გვითხრეს, ჯარში ამ სიტყვის ხმარება მიზანშეწონილი არაა, სამხედროები პირდაპირი ხალხია და უბრალოდ დაგვცინებენო – ისინი კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ ჩვენთვის ჩვეული ტერმინისა „ბომბტყორცნა“ და ხანგრძლივი განხილვის შემდეგ მხოლოდ ერთ, მეტად სპეციფიკური შინაარსის მქონე, სიტყვა-სტატიაში (**toss bombing**) მოგვცეს დასტური სიტყვა „ბომბტყორცნის“ გამოყენებაზე. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამ ტერმინზე მსჯელობა და აზრების გაცვლა უადრესად საინტერესო, სასარგებლო და სასიამოვნო იყო.

პირველად მაშინ დაგვებადა აზრი, რომ ენაში ნეოლოგიზმების და კერძოდ ახალი ტერმინების დამკვიდრება-არდამკვიდრება შეიძლება სპონტანური პროცესი იყოს; ხოლო კონსულტანტთა მიერ ნათქვამმა, რომ ზოგიერთ ტერმინს სამხედრო მოსამსახურეთა მხრიდან ირონიული თუ დამცინავი რეაქცია შეიძლებოდა გამოეწვია, კიდევ უფრო გავვიმყარა ადრეც არაერთხელ გაჩენილი აზრი, რომ სიტყვის (განსაკ. ნეოლოგიზმის) ხმარებისას მოლაპარაკე (ქვეცნობიერად მაინც) აფასებს, თუ რამდენად გასაგები და მისაღები იქნება ეს სიტყვა „ადრესატისთვის“ ან მიზნობრივი აუდიტორიისთვის. ამგვარმა თანამშრომლობამ მეტყველების პროცესის მენტალური „სარჩულის“ ანალიზისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა.

1.2 ინგლისურ-ქართულ ტექნიკურ ლექსიკონზე“ მუშაობის გამოცდილება

2000-იან წლებში საკმაოდ დრო იყო გასული მას შემდეგ, რაც ჩვენი დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის პირველი რვა-ცხრა ასო გვქონდა გამოცემული და უკვე შესაძლებელი იყო ზოგიერთი დაკვირვებების გაკეთება და დასკვნების გამოტანა.

გაირკვა, რომ „კუთხვილი“ vs „ნაჭდევი“ ტიპის შემთხვევები სხვა დარგებშიც გვხვდებოდა.

ასე მაგალითად, 1996-1997 წლებში, როდესაც დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის E და F ასოებზე ვმუშაობდით, ინგლისური სიტყვების **extinguisher** და **fire extinguisher** ქართულ ეკვივალენტად „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ მიხედვით (огнетушитель) „ცეცხლსაქრობი“ დავწერეთ (უსიამოვნოა იმ ფაქტის გახსენება, რომ რუსული ენის წნეხის ზეგავლენით, ყოველდღიურ მეტყველებაში ამ მოწყობილობას ბევრი ჩვენგანი „აგნეტუშიწელს“ ეძახდა).

ჩვენდა გასაკვირად, ჯერ კიდევ XXI საუკუნის პირველივე წლებში შევნიშნეთ, რომ ჩვენ თანამემამულეთა დიდი ნაწილი „ცეცხლსაქრობის“ ნაცვლად „ცეცხლმაქრს“ ამბობდა. უფრო მეტიც, „ცეცხლსაქრობი“ ბევრს გაგონილიც არ ჰქონდა და იმასაც კი გვეუბნებოდნენ, როგორ არ იცით, ამ მოწყობილობას „ცეცხლმაქრი“ რომ ჰქვიაო.

ქართულზე მოლაპარაკეთა უმეტესი ნაწილის ამგვარი დამოკიდებულება სტატისტიკურადაც დასტურდება: „გუგლის“ საძიებო სისტემის მიხედვით „ცეცხლმაქრი“ 71 400 შედეგს იძლევა, ხოლო „ცეცხლსაქრობი“ მხოლოდ 4 680-ს (2023 წლის 2 სექტემბრის მონაცემებით). ანალოგიურად, ოდნავ მოგვიანებით სიტყვებზე **earphone** და **headphone** მუშაობისას, ამ სიტყვებით აღნიშნული ელექტრომონოპოლიზაციის, რომელსაც ყოველდღიურობაში უბრალოდ „ნაუშნიკს“ ვეძახდით (ბევრი ახლაც ასე იქცევა, სამწუხაროდ) ეკვივალენტად „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ მიხედვით (наушник) „საყურისი“ დაიწერა. 2000-იანების პირველი ათწლეულის ბო-

ლოსკენ დავრწმუნდით, რომ „საყურისმა“ ენაში ფეხი ვერ მოიკიდა და მის ნაცვლად „ყურსასმენი“ იხმარებოდა. მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ „საყურის“ მნიშვნელობა მთლად ნათელი არაა, „საყურის“ ასოციაციას იწვევს და ნაკლებად გასაგები და მისაღებია საშუალოსტატისტიკური ქართველისთვის, მაშინ როდესაც, „ყურსასმენი“ სავსებით ტრანსპარენტულია და პირველივე გაგონებისას ცხადია, რას შეიძლება აღნიშნავდეს. ასეა თუ ისე, რა ფსიქოლოგიური თუ სოციალური „სარჩულიც“ არ უნდა ედოს ამას, ფაქტია, რომ „ყურსასმენი“ საყოველთაოდაა დამკვიდრებული, ხოლო „საყურის“ მისი ხმარების სიხშირის მიხედვით მარგინალური ადგილი უკავია: „გუგლის“ ძიება „ყურსასმენზე“ 566 000 შედეგს იძლევა, ხოლო „გუგლშივე“ „საყურისის“ ძიებას მხოლოდ 2 670 შედეგი გამოაქვს (ასევე 2023 წლის 2 სექტემბრის მონაცემებით).

2014-2016 წლებში „ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-რუსულ-ქართულ ელექტრონულ და ონლაინ-ლექსიკონზე“ მუშაობისას ეს ტენდენცია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„საბურავი“ vs „სალტე“ (ინგლ. tyre, tire). „სალტე“ რუსული шина-დან მომდინარეობს. ეტიმის ან ურმის ხის ბორბლის шина მართლაც ლითონის სალტე იყო, მაგრამ ავტომანქანის ბორბლის რეზინის საბურავის აღმნიშვნელად „სალტე“ ქართულში პრაქტიკულად ვერ დამკვიდრდა. ვშიშობთ, რომ „სალტის“ დანერგვას/გამოყენებას თუ ვეცდებით, ბევრი ისევ რუსულ ბარბარიზმ „პაკრიშის“ (< покрышка) ხმარებას ამჯობინებს, მაშინ როდესაც „საბურავს“, რომელიც საკმაოდ ინტენსიურად იხმარება თანამედროვე ქართულში, ოდიოზური „პაკრიშის“ განდევნის ყველა მანსი აქვს.

„საწვავის შეფრქვევა“ vs „საწვავის შეშხაპუნება“ (ინგლ. (to) inject, injection). „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ მიერ რეკომენდებული „(საწვავის) შეშხაპუნების“ (<впрыск) ენაში აქტიური დანერგვის მანსების გაანალიზებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ამ ტერმინს ქართველ ავტომობილისტთა ყოველდღიურ სამეცყველო პრაქტიკაში ფეხის მოკიდების ნაკლები მანსი ჰქონდა. ერთ-ერთ მიზეზად „შეშხაპუნების“ რამდენადმე კომიკური ჟღერადობა ჩავთვალეთ (ზემოხსენებულ სამხედრო კონსულტანტთა მოსაზრებაც დაცინვის ობიექტად შესაძლო ქცევის შესახებ კარგად გვახსოვდა). რეალურად მოგვეჩვენა საფრთხე, რომ „შეშხაპუნებას“ არც ავტოხელოსანი და არც მანქანის მფლობელი არ იტყოდა და ისევ (სამწუხაროდ, ყველასთვის კარგად გასაგები) „ვპრისკით“ ან „პრისკით“ გავიდოდა ფონს. ამდენად, დავეყრდენით საქართველოს ერთ-ერთი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სალექციო კურსს („ავტომობილი“) და ინგლისური inject, injection-ისა და რუსული впрыск-ის ქართულ ეკვივალენტად „საწვავის შეფრქვევა“ ავირჩიეთ.

„შურუპი“ vs „სჭვალი“ (ინგლ. screw, რუს. шуруп). „ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონში“ რუსული шуруп-ის შესატყვისად „სჭვალი“, „შურუპი“ წერია. „სჭვალს“, ლურსმნის აღმნიშვნელ ამ ძველ ქართულ სიტყვას, რომელიც მოგვიანებით არაბულმა ნასესხობამ („ლურსმანი“ < „მუსმარი“ < არაბ. musmār, mismār) ჩაანაცვლა, ბოლომდე ვერ შეველიეთ, მაგრამ ძირითად ფორმად მაინც „შურუპი“ ვარჩიეთ. მით უმეტეს, რომ ამაზე ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონის „სანქციაც“ გვქონდა.

„ბორბალი“ vs „თვალი“ (ინგლ. wheel, რუს. колесо). ძნელად წარმოსადგენია, დღევანდელ რეალობაში მანქანის ბორბალს ვინმემ „თვალი“ უწოდოს. შესაბამისად, ძირითად ეკვივალენტად „ბორბალი“ ვიხმარეთ. ასეთივე დილემების წინაშე ვიდექით და ასეთსავე გადაწყვეტილებებს ვიღებდით „მოკლე ჩართვა“ – „მოკლე

შერთვის“, „დამიწება“ – „ჩამიწების“, „ხრახნფრთიანი“ – „ფრთახრახნილი“ (< винтокрылый) და სხვ. შემთხვევებშიც. ჩვენს გადაწყვეტილებებს პრაქტიკული მოსაზრებები, რეალიზმის გრძნობა და ცოცხალ, რეალურად არსებულ (და არა წარმოსახვით თუ სასურველ) ქართულ ენაზე დაკვირვების შედეგად გამოტანილი დასკვნები განაპირობებდა.

მოკლედ, „ტექნიკურ ლექსიკონში“ ჩვენს მშობლიურ ენაზე დაკვირვების შედეგად მიღებული ამ სტატისტიკური მონაცემების გარკვეულწილად გათვალისწინება მოგვიხდა. „საყურისი“ ყველა ჩვენი ონლაინ-ლექსიკონიდან ამოვიღეთ და მის ნაცვლად „ყურსასმენი“ დავწერეთ, „სალტე“/„საბურავი“, „ჩამიწება“/„დამიწება“, „მოკლე შერთვა“/„მოკლე ჩართვა“, „თვალი“/„ბორბალი“ და „სჭვალი“/„შურუპი“ კი „ტექნიკურ ლექსიკონში“ პარალელურ, თანაბრად მისაღებ ფორმებად დავტოვეთ, საწვავის „შეშაპუნების“ ნაცვლად „შეფრქვევა“ დავწერეთ; „ცეცხლმაქრი“ ჩვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა და მის ნაცვლად ნორმატიული (და ქართული სიტყვათწარმოების წესების თვალსაზრისით უფრო გამართული) ფორმა, „ცეცხლსაქრობი“ დავწერეთ (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „ცეცხლმაქრის“ პოპულარობაზე ამას გავლენა არ მოუხდენია და უმრავლესობას დღესაც სწორ ფორმად სწორედ „ცეცხლმაქრი“ მიაჩნია).

გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში ნამდვილად შეინიშნება სწორი და კულტურული, „ატვიორტკებისა“ და „პრაკლადკების“ ტიპის რუსული ბარბარიზმებისგან გაწმენდილი მეტყველებისაკენ სწრაფვა. „ატვიორტკებით“ და „გაიკებით“ დანაგვიანებული მეტყველება კულტურისა და განათლების დაბალი დონის ნიშნად და, საბოლოო ჯამში, არაპრესტიჟულად მიიჩნევა. სასურველია ამ სასიკეთო ტენდენციისთვის ყოველმხრივ ხელის შეწყობა. ამისთვის, ჩვენი აზრით, გვმართებს ქართულად მოსაუბრე ენობრივი კოლექტივისთვის ისეთი სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივების შეთავაზება, რომელთაც ენაში ფეხის მოკიდების მეტი შანსი ექნებათ. ჩვენი მაშინდელი ლექსიკოგრაფიული გადაწყვეტილებებიც ამ მოსაზრებებმა განაპირობა.

1.3 ენობრივი სიახლეები და ნეოლოგიზმები ზოგადი ლექსიკის მაგალითზე

ამ მცირე ლექსიკოგრაფიული გადახვევის შემდეგ დავუბრუნდეთ დიაქრონიულ ენათმეცნიერებას, რაც წინამდებარე ნაშრომის ძირითადი თემაა. ამ კონტექსტში კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ აღწერილის ანალოგიურ სურათს თანამედროვე ქართული ენის ზოგად ლექსიკაშიც ვხედავთ. ქვემოთ მოვიყვანთ სულ რამდენიმე მაგალითს.

ჩვენს რეალობაში კერძო სოლარიუმებისა და სპა-სალონების გამოჩენასთან ერთად აქტუალური გახდა კანის ხელოვნური გამუქების თემა. ცხადია, პრესტიჟული სალონი თავისი საქმიანობის სარეკლამო ტექსტში ვერ შეიტანს, ჩვენთან ზაგარის მიღება ან დაზაგრა შეგიძლიათო (ეს რუსული ბარბარიზმი ყველასთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი). საინტერესო ისაა, რომ რუსულ-ქართულ ლექსიკონში სიტყვის загар ქართულ შესატყვისად „ნამზეური, ნამზეურობა (კანისა)“ წერია, ხოლო ზმნის загореть შესატყვისად „მზის მოკიდება, მზეზე დაწვა, გაშავება“ არის შემოთავაზებული. მიმღეობრივი ზედსართავი загорелый კი განმარტებულია როგორც „ნამზეური, მზემოკიდებული, მზეზე დამწვარი, გაშავებული“. ქართული

ლექსიკის სიხშირული ანალიზის შემდეგ (ბუნებრივია, სიტყვებზე **suntan**, **tan** მუშაობისას) აღმოჩნდა, რომ დღევანდელ ქართულ რეალობაში „ნამზეურის“ და მისთ. ნაცვლად მყარად დამკვიდრებულია სიტყვები „რუჯი“, „რუჯის მიღება“, „გარუჯვა“ და ა.შ. და რომ ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სოლარიუმებში და სილამაზის სალონებში „ნამზეურის“ ან კანის სხვა სახის დაზიანების მიღების ნაცვლად „რუჯის მისაღებად“ ან „გასარუჯად“ დადის.

საინტერესოა ერთ-ერთი ყოფილი იუგოსლავიური რესპუბლიკის, ჩერნოგორიის შემთხვევა, რომელსაც დღეს ყველა თითქმის ოფიციალურად „მონტენეგროს“ უწოდებს. ყველა ჩვენს გეოგრაფიულ თუ პოლიტიკურ ცნობარში ამ სლავურ ქვეყანას მისთვის უფრო შესაფერისი სლავური სახელი „ჩერნოგორია“ (Црна Гора სერბულ-ხორვატულად) ეწოდებოდა. „მონტენეგრო“ ქვეყანას, როგორც, ჩანს, ინგლისური ენის (რომელშიც იგი სწორედ ასე აღინიშნება) გავლენით „გადაერქვა“. „მონტენეგრო“ (Montenegro) თავის მხრივ, წარმოადგენს ქვეყნის სლავური სახელწოდების კალკს იტალიური ენის ვენეციურ დიალექტზე (Wikipedia <https://en.wikipedia.org/wiki/Montenegro>). აღვნიშნავთ, რომ „ცერნა გორაც“ და „მონტე ნეგროც“ ქართულად „შავ მთას“ ნიშნავს.

საინტერესოა ჩვენთვის აქ ის არის, რომ ნორმატიული და, პრინციპში, უფრო სწორი და ავთენტიკური ფორმა „ჩერნოგორია“ იტალიურმა „მონტენეგრომ“ განდევნა. ამგვარი „ორთაბრძოლების“ („ჩერნოგორია“ vs „მონტენეგრო“; „რუჯი“ vs „ნამზეური, მზეზე გამავება“; „საწვავის შემზაპუნება“ vs „საწვავის შეფრქვევა“) შედეგების სავარაუდო მიზეზებზე შედარებით დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ, აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას „მონტენეგრო“ უფრო მოსწონს, ვიდრე „ჩერნოგორია“; თანაც ბევრს ფორმა „ჩერნოგორია“ სავარაუდოდ გაგონილი უნდა ჰქონდეს, თუმცა უპირატესობას მაინც „მონტენეგროს“ ანიჭებენ. ყოველ შემთხვევაში, „გუგლის“ საძიებო სისტემის მიხედვით (2023 წლის 7 ოქტომბრის მონაცემებით) „ჩერნოგორია“ დაახლოებით 26 000 შედეგს იძლევა, მაშინ როდესაც „მონტენეგრო“ 177 000 შედეგს.

ამავე ტიპის საინტერესო ტენდენცია ისახება ზოგიერთ იმ არსებით სახელთა შემთხვევაშიც, რომლებიც ნორმატიული წყაროების მიხედვით – ა ხმოვანზე უნდა ბოლოვდებოდნენ, მაგრამ სასაუბრო მეტყველებაში ხმოვანფუძიანებად არიან გარდაქმნილი. ასეთი სიტყვებია „ცხაური“ (და არა „ცხაურა“); „მაისური“ (და არა „მაისურა“); „ბადრაგი“ (და არა „ბადრაგა“ – ეს უკანასკნელი პრაქტიკულად სრულებითაა ხმარებიდან ამოვარდნილი). „ძრავას“ ნაცვლად ხშირად „ძრავს“ ამბობენ, ხოლო თუ სახელობით ბრუნვაში „ძრავა“ იხმარეს, ნათესაობითი ყოველთვის კვეცადი ფორმა „ძრავის“ იხმარება (ნაცვლად „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მიერ რეკომენდებული უკვეცელი ფორმისა „ძრავასი“).

ეს შემთხვევები კიდევ უფრო აძლიერებს განცდას, რომ ცოცხალი ქართული ენა (რაც არ უნდა იყოს ამის მიზეზი) საკუთარი კანონზომიერების მიხედვით ფუნქციონირებს და ვითარდება და ნორმატიული ლინგვისტიკის რეკომენდაციებს ყოველთვის არ ითვალისწინებს. ვფიქრობთ, რომ თუ „ხელმოცარული“ ფორმების, რომლებმაც, ასე ვთქვათ, ხალხის მოწონება ვერ დაიმსახურეს, მაგ. „ცხაურა“ ან „მაისურა“ ხმარებას/დანერგვას ვეცდებით, გამორიცხული არაა, პასუხად „რემოტკა“ და „მაიკა“ მივიღოთ (აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ „მაისურაც“ და „მაისურიც“ გაურკვეველი ეტიმოლოგიის რუსული სიტყვის майка [სავარაუდოდ < май „მაისი“] აშკარა კალკია). აბსოლუტურად გამორიცხული ჩანს „სწორი“ ფორმის „ბადრაგა“

[არაბული (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1950-1964) ან სპარსული (გიგინეიშვილი 2016)] რეანიმირება ფართოდ ფუნქციონირებული „ბადრაგ-ის“ ნაცვლად. ასეთივე შემთხვევებთან გვაქვს საქმე, როდესაც ვრწმუნდებით, რომ „ნერვული აშლილობა“ უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე ნორმატიული „ნერვული მოშლილობა“, „გაციებას“ (მნიშვნელობით a cold, простуда) უფრო ხშირად ამბობენ, ვიდრე „გაცივებას“ და ა.შ.

ენობრივი პროცესების ზოგადად, კერძოდ კი ნეოლოგიზმების გაჩენის სპონტანურობის და „საერთო-სახალხო“ ხასიათის შეგრძნებას აძლიერებს ის ფაქტი, რომ ქართულში (სანამ რომელიმე ნორმალიზატორი ან ტერმინოლოგი საზოგადოებას რაიმეს შესთავაზებდეს) თავისთავად ჩნდება ისეთი აქტუალური სიტყვა-გამოთქმები (რომლებსაც ძნელია ტექნიკური ტერმინები უწოდო), როგორებიცაა მაგ. „ზარის გადამისამართება“, „პირადი მონაცემების გასაჯაროება“, „მოწყობილობის გასანდობა“ და სხვ. ცხადია, ამას, როგორც ითქვას, შეცვლილი რეალობა: მობილური სატელეფონო კომპანიების სიმრავლე, ფართოდ გავრცელებული საბანკო მომსახურება, მომსახურების სფეროში მოღვაწე მრავალრიცხოვანი მცირე საწარმოები (მაგ. იგივე სოლარიუმები და სპა-სალონები), ახალი ამბების ინდუსტრიაში ჩაბმულ მედია-საშუალებათა ფართო დიაპაზონი და სხვ. განაპირობებს. ამ დარგებში ათასობით ადამიანია ჩაბმული და მათ თავისი სიტყვა-გამოთქმები, დარგობრივი ლექსიკა, პროფესიული სლენგი თუ მეტაენა (არა აქვს მნიშვნელობა, რას ვუწოდებთ) ესაჭიროებათ. როგორც ჩანს, ეს საჭიროება იწვევს ქართულზე მოსაუბრე ცალკეული სოციალური ჯგუფების წიაღში მათი ენობრივი, საკომუნიკაციო და სამსახურებრივი მოთხოვნილებების შესაფერისი გამოთქმების სპონტანურ გამოქვეყნებას და ენაში დამკვიდრებას. თანაც ეს, როგორც ჩანს, ხდება ბევრად უფრო ადრე, ვიდრე რომელიმე „ენის ნორმალიზატორი“ ამა თუ იმ სიტყვის თუ გამოთქმის საჭიროებას გააცნობიერებდეს.

შემდეგ თავში ამ სპონტანური სიტყვათშემოქმედების ბუნების გაანალიზებას ვცდებით.

2. ენობრივი ცვლილების სავარაუდო ბუნება და მექანიზმი

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ძალაუფლებურად იბადება კითხვა, რა მექანიზმები განაპირობებს ამა თუ იმ სიტყვის, ტერმინის თუ ნეოლოგიზმის ენაში დანერგვა-არდანერგვას (გარდა ზემოთ ხსენებული „ადრესატის“ / მიზნობრივი აუდიტორიის ფაქტორისა). ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ენაში ახალი სიტყვების (ისევე როგორც, სხვათა შორის, ახალი გრამატიკული კონსტრუქციების) გაჩენა და დამკვიდრება სპონტანური პროცესია და მას სხვადასხვა სოციოლინგვისტური თუ ფსიქოლინგვისტური ფაქტორები განაპირობებს, ხოლო ლინგვისტებისა და ენის ნორმალიზატორების რეკომენდაციები ამ პროცესზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ ახდენს.

ყოველივე ეს ამავედროულად დღის წესრიგში აყენებს თავად ენობრივი ცვლილების ბუნების საკითხს.

მოყვანილი მაგალითების, კერძოდ კი ამა თუ იმ სიტყვის ალტერნატიული ვარიანტების თუ სინონიმების („ცეცხლსაქრობი“ – „ცეცხლმაქრი“; „საყურისი“ – „ყურსასმენი“; „ნამზერი“ – „რუჯი“ და ა.შ.) ხმარების სინძირის სტატისტიკური მონაცემების ანალიზს მივყავართ კრაულ-სორსინგის (crowdsourcing) ანალოგიამდე. თანაც

კრულ-სორსინგის მსგავსი პროცესი ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებაში/ენობრივ კოლექტივში მოქმედებს როგორც სიტყვის შემუშავება-შეთავაზების ეტაპზე, ასევე ამა თუ იმ სიტყვის მიღება-არმიღების ეტაპზე. მოკლედ რომ ვთქვათ, მივდივართ დასკვნამდე, რომ ენაში, როგორც ჩანს, მკვიდრდება და ფეხს იკიდებს ის ნეოლოგიზმები თუ ტერმინები, რომლებსაც საზოგადოების ყველაზე დიდი ნაწილი გამოიყენებს მეტყველებისას და ყველაზე დიდი ნაწილი მიიღებს/მისაღებად ჩათვლის ამგვარი ნეოლოგიზმებისა თუ ტერმინების სხვისგან გაგონებისას. ეს ანალოგია გულისხმობს, რომ ამა თუ იმ ახალი სიტყვის თუ ტერმინის ენაში დანერგვის თუ ვერდანერგვის შემთხვევა ენობრივი კოლექტივის ცალკეულ წევრთა მიერ მიღებული ცალკეული სამეტყველო გადაწყვეტილებების სტატისტიკურ ჯამს წარმოადგენს. ეს პროცესი ბილიკების გაჩენის მექანიზმსაც შეიძლება შევადაროთ – ბილიკები იქ წარმოიქმნება, სადაც ყველაზე მეტი ადამიანი ყველაზე ხშირად გაივლის.

ჩვენი აზრით, ნებისმიერი ენობრივი ცვლილება, იქნება ეს ლექსიკური თუ მორფოსინტაქსური, საბოლოო ჯამში სწორედ ამგვარი სპონტანურ-სტატისტიკური მიზეზებითაა განპირობებული: ჩნდება და შემდეგ უკვე ენაში ფეხს იკიდებს ის სიტყვა ან თუნდაც გრამატიკული კონსტრუქცია, რომელსაც ამ ენაზე ყველაზე მეტი მოლაპარაკე ყველაზე ხშირად იხმარს მეტყველების პროცესში.

ვფიქრობთ, რომ ამავე კანონზომიერებებს უნდა ემორჩილებოდეს ენის მორფოლოგიური ცვლილებებიც, სახელდობრ ქართულში ვნებითი გვარის („გაკეთდა განცხადება“, „განახორციელა ცვლილება“) ან პერფექტის („ნამყოფი ვარ“, „უკვე წასული ვიყავი“, „დამთავრებული მექნება“, „გაკეთებული მაქვს“) გამოჩენა და საყოველთაო დამკვიდრება, ანდა არსებითთა კუმშვისა და კვეცის რელექცია.

საკუთრივ ცვლილების დამკვიდრება-არდამკვიდრების ანალიზი ჩვენი კონცეფციის ფარგლებში ორი საფეხურისგან შემდგარ პროცესად წარმოგვიდგენია: (1) თავად ფაქტის დადგენა – სხვადასხვა „კონკურენტი“ ვარიანტებიდან რომელია უფრო გავრცელებული (მაგ. „ცეცხლმაქრი“ თუ „ცეცხლსაქრობი“; „ყურსასმენი“ თუ „საყურისი“; „მონტენეგრო“ თუ „ჩერნოგორია“ და ა.შ.); და (2) იმის დადგენა, თუ სავარაუდოდ რა ფსიქოლოგიური, სოციალური თუ სხვა ფაქტორი შეიძლება განაპირობებდეს საზოგადოების მიერ ამა თუ იმ სიტყვის, გამოთქმის თუ კონსტრუქციის მოწონებას ან პირიქით, დაწუნებას. დანამდვილებით აქ რამის მტკიცება, ცხადია, ძნელი იქნება. ასე მაგალითად, „**რუჯს**“ ალბათ იმიტომ მიენიჭა უპირატესობა, რომ „ნამზეური“ კანის ტრავმული დამწვრობის თუ სხვაგვარი დაზიანების ასოციაციას უფრო იწვევს. „ავტოფარეხის“ დანერგვა, სავარაუდოდ, იმან განაპირობა, რომ „გარაჟი“ რუსულ სიტყვად (და არასასურველ ნასესხობად) იქნა მიჩნეული (რუს. гараж). „**ჩერნოგორიაც**“ სავარაუდოდ, სლავური ჟღერადობის გამო, რუსიზმად იქნა აღქმული და დაწუნებული აღმოჩნდა, მის ნაცვლად კი ქართულში კვაზი-ინგლისურმა „მონტენეგრომ“ მოიკიდა ფეხი. შესაძლოა აგრეთვე, რომ ძნელად წარმოსათქმელი და „ენის მოსატეხი“ „ცეცხლმაქრი“ მაჰანთათვის უფრო „სერიოზულ“ და „მწიგნობრულ“ სიტყვად მოიაზრება, ვიდრე მარტივი და გასაგები „ცეცხლსაქრობი“. სწორი „ვებ-საიტის“ ნაცვლად „ვებ-გვერდის“ დამკვიდრებაზე კი შეიძლება გერმანულმა სიტყვამ **Seite** („გვერდი“) იმოქმედა და ა.შ.

ყველა ამ სიტყვის დამკვიდრების მექანიზმის ანალიზის I საფეხურისთვის იგულისხმება, რომ „გამარჯვებულ“ ვარიანტს ქართულად მოლაპარაკეთა სტატისტიკური უმრავლესობა უფრო მისაღებად თვლის).

აღსანიშნავია, რომ საკითხი, თუ რამდენად მისაღებია ესა თუ ის კონკრეტული სიტყვა ამა თუ იმ კონკრეტული ენათმეცნიერისთვის თუ საზოგადოების რიგითი წევრისთვის, აქ უბრალოდ არ დგას. ამ სიტყვების უპირატესი ხმარება ქართულენოვანთა წიაღში უკვე შემდგარი ფაქტია და ცალკეული ჩვენგანის მისდამი დამოკიდებულება ვითარებას არსებითად ვერ შეცვლის. წინამდებარე ნაშრომის ავტორს „ცეცხლმაქრი“, „ავტოფარეხი“ და მაგ. თქვენობით მიმართვისას „გამარჯობას“ თქმა საკმაოდ აღიზიანებს, მაგრამ ჩვენი პასიური თუ აქტიური პროტესტის მიუხედავად, ამ სიტყვებს საქართველოში ყოველდღიურად და ძალზე ხშირად ხმარობენ.

ეს ყოველივე, პრინციპში, იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენი ენა იცვლება, იცვლება სწრაფად, ერთი თაობის ცხოვრების განმავლობაშიც კი, ჩვენ კი, საბედნიეროდ, ლინგვისტური გამჭრიახობა და დაკვირვების უნარი გვყოფნის ამ ცვლილებათა შესამჩნევად.

თუ ზემოთ „კრანდსორსინგისა“ და ენობრივი კოლექტივის წევრთა მიერ მიღებული სამეტყველო გადაწყვეტილებების სტატისტიკური უმრავლესობის შესახებ ნათქვამს გავიხსენებთ, ნათელი გახდება, რომ იმ დროისათვის, როდესაც „ნორმალიზატორი“ (ენის ნორმების დადგენის პრეტენზიის მქონე ინდივიდი თუ ინდივიდთა ჯგუფი/ორგანო) რაიმე სიტყვას ან გამოთქმას ყურადღებას მიაქცევს და მის აღმოფხვრას (და „სწორი“ ფორმით მის ჩანაცვლებას) შეეცდება, ეს სიტყვა თუ გამოთქმა, როგორც წესი, ენაში უკვე მყარად არის ხოლმე დამკვიდრებული, ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების (speech community) წევრთა დიდ ნაწილს იგი უკვე მრავალგზის აქვს გაგონილი და გამოყენებული და მათ მიერ სრულიად ჩვეულებრივად (და ამდენად მისაღებად) მოიაზრება.

ძალაუვნებურად ისმის კითხვა, თუ რამდენად ქმედითი და უპრიანია, როგორც ასეთი, ენის ბუნებრივ განვითარებაზე რაიმე ზემოქმედების მოხდენის ნებისმიერი მცდელობა, „ენის დაგეგმვა“ როგორც ამას ზოგჯერ უწოდებენ ხოლმე.

3. ენაზე შეგნებული ზემოქმედების და „ენის დაგეგმვის“ შესახებ. სკანდინავიური მაგალითი

ენობრივ პროცესებზე შეგნებული ზემოქმედებისა და ენის განვითარების სასურველი მიმართულებით წარმართვის მცდელობებზე საუბრისას საინტერესო მაგალითს იძლევა თანამედროვე „მატერიკული“ სკანდინავიური ენები – დანიური, ნორვეგიული და შვედური. XVII საუკუნეში, რომანტიზმის გავლენით ამ ქვეყნებში გაძლიერდა დაინტერესება მათი საერთოსკანდინავიური, ქრისტიანობამდელი კულტურითა და ენით. გაძლიერდა ამ ქვეყნებისა და მათი ხალხების საერთო წარმომავლობისა და ოდინდელი კულტურული და ისტორიული ერთობის შეგნება. ამგვარ განწყობებს ხშირად „სკანდინავიზმს“ უწოდებენ ხოლმე (Kah 1980 c.c. 128-132). საინტერესოა, რომ ამ ტალღაზე გაჩნდა ტენდენცია, ხმარებაში დაებრუნებინათ თუ „გაეცოცხლებინათ“ ძველი, „მამაპაპური“ საერთოსკანდინავიური სიტყვები, რომლებიც უახლეს პერიოდში ქვემოგერმანულიდან, ფრანგულიდან, ინგლისურიდან ან სხვა ევროპული ენებიდან ნასესხებ სიტყვებს ჩაენაცვლებინათ. როგორც ჩანს, მიზანი იყო თანამედროვე დანიური, ნორვეგიული და შვედური ენები რამდენადმე დაეახლოვებინათ თუ დაემსგავსებინათ ისლანდიური ენისთვის, რომელსაც, მისი „ინსულარული“ ადგილმდებარეობის შედეგად „ვიკინგების ეპოქის“ შემდგომ ცვლილებები თითქმის არ შეხებია და რომელიც, როგორც ლექსიკური შემადგენლობის,

ასევე მორფოლოგიის თვალსაზრისით, საკმაოდ არქაულ ფორმას ინარჩუნებს. ამისათვის, ძველი საერთოსკანდინავიური ან ისლანდიური ენებიდან (რომელთა შორის განსხვავებებიც, უნდა ითქვას, მინიმალურია), ხელოვნურად იღებდნენ სიტყვებს და ამგვარი „მწიგნობრული ნასესხობებით“ თანამედროვე სკანდინავიური ენების ლექსიკის გამდიდრებას თუ „რესკანდინავიზაციას“ ცდილობდნენ.

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სკანდინავიური ენების „არქაიზაციის“ მცდელობანი დიდი წარმატებით არ დაგვირგვინებულა. მრავალრიცხოვანი „მწიგნობრული ნასესხობებიდან“ კონკრეტულად შვედურში სულ სამი-ოთხი ასეთი ლექსიკური ერთეული ითვლება დანერგილად. პირველი რაც შეიძლება გაგვახსენდეს, ესაა შვედური სიტყვა **idrott** „სპორტი“ (< ძვ. სკანდ. / ძვ. ისლ. *íþrótt*, რაც „სიმარჯვეს“ თუ „მოხერხებულობას“ ნიშნავდა; შდრ. ანალოგიური დან. **idræt**, ასევე „სპორტის“ მნიშვნელობით). მაგ. შვედური **idrottsklubb** „სპორტული კლუბი“; **idrottsmedicin** – „სპორტული მედიცინა“; **idrottskläder** – „სპორტული ტანსაცმელი“; **idrottsarena** – „სპორტული არენა, სტადიონი“ და სხვ. შვედურში მყარად დამკვიდრებულად ითვლება აგრეთვე სიტყვა **skald** „პოეტის“ მნიშვნელობით, ასევე ნასესხები ძველსკანდინავიურიდან (თუმცა არასკანდინავიური სინონიმებიც: **poet**, **diktare** იხმარება). ორიოდ დანარჩენი „გაცოცხლებული“ შვედური ლექსიკური ერთეულებია ისტორიული სიტყვები **valkyria** „ვალკირია“ და **viking** „ვიკინგი“. სულ ეს არის. ეს თითქმის სწორედ ის გამონაკლისებია, რომლებიც წესს ამტკიცებს. დიდად არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ შვედურის ხელოვნურად „რესკანდინავიზაციისა“ და „ფესვებთან დაბრუნების“ მცდელობანი, რომელიც რომანტიკული გრძნობებით იყო ნაკარნახები, წარმატებით არ დასრულებულა. დაახლოებით ასეთივე სიტუაციაა დანიურსა და ნორვეგიულ ენებშიც.

რომანტიზმთანაა დაკავშირებული ნორვეგიული ენის აღდგენისკენ მიმართული ენობრივი მოძრაობაც, რომლის სათავეშიც ნორვეგიელი ფილოლოგი ივარ ოსენი (Ivar Åsen, 1813-1896) იდგა. როგორც ცნობილია, ლიტერატურულმა ნორვეგიულმა, ბუკმოლმა (Bokmål „წიგნური/ლიტერატურული ენა“, რომელსაც 1929 წლამდე რიქსმოლი Riksmål „სახელმწიფო ენა“ ეწოდებოდა) დანიურის ძლიერი გავლენა განიცადა. ივარ ოსენი და მისი თანამოაზრენი ნორვეგიული ენობრივი მოძრაობის რიგებიდან, ნაციონალისტური თუ პატრიოტული გრძნობების კარნახით, ცდილობდნენ „სუფთა“ ნორვეგიული ენის აღდგენას, ეყრდნობოდნენ რა ქვეყნის პროვინციებში გავრცელებულ ნორვეგიულ დიალექტებს, რომელთაც (უპირატ. დედაქალაქ ოსლოში გავრცელებული ბუკმოლისგან განსხვავებით), დანიურის გავლენა არ შეხებიათ. მათი ძალისხმევის შედეგად შეიქმნა და საკმაოდ ფართო (თუმცა არა საყოველთაო) გავრცელება მოიპოვა ე.წ. ლანსმოლმა (landsmål – „სოფლური ენა“), რომელიც 1929 წლის შემდეგ ახალნორვეგიულის (Nynorsk) სახელითაა ცნობილი. მომდევნო წლებში ნორვეგიაში მიმდინარეობდა ხანგრძლივი და მძაფრი დაპირისპირება ხელოვნურად შექმნილი ახალნორვეგიულისა და ტრადიციული ბუკმოლის მომხრეთა შორის. ამგვარმა სიტუაციამ კი ერთიანი სალიტერატურო ნორვეგიული ენის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად შეაფერხა.

საბოლოო ჯამში, როგორც სკანდინავისტიკით ოდნავ მაინც დაინტერესებულ პირთათვის კარგადაა ცნობილი, ეს პატრიოტული წამოწყებაც დიდად წარმატებული ვერ გამოდგა. თანამედროვე მონაცემებით, ნორვეგიაში ნიუნორმზე (ახალნორვეგიულზე) მოსახლეობის დაახლოებით 10-15% პროცენტი ლაპარაკობს, ხოლო ბუკმოლზე – შესაბამისად 90-85% (<https://en.wikipedia.org/wiki/Nynorsk>).

ცნობილი საბჭოთა რუსი სკანდინავისტი მ. ი. სტებლინ-კამენსკი (Стеблин-Каменский, Михаил Иванович 1903-1981) „ახალნორვეგიულის“ პროექტისა და ნორვეგიული ენობრივი მოძრაობის მიმართ საკმაოდ ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოთქვამდა ჯერ კიდევ 1968 წელს (*sic!*) გამოქვეყნებულ თავის სტატიამი *Возможно ли планирование языкового развития?* (норвежское языковое движение в тупике) <http://norroen.info/articles/stebblink/planning.html>

ორიოდე ციტატა, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ, კარგად გამოხატავს ცნობილი რუსი სკანდინავისტის დამოკიდებულებას „ენის დაგეგმვისა“ და ენის განვითარებით მანიპულირების საკითხისადმი (Стеблин-Каменский 1968):

Так как языковая борьба заставляла рассматривать язык с точки зрения того, каким он должен быть, скорее, чем того, какой он есть в действительности, норвежский язык в сущности почти не подвергался исследованию. Достаточно сказать, что есть только одно синхронное объективное описание грамматики риксмол. За почти полустолетие, прошедшее со времени выхода в свет этой книги, не появилось ни одной новой работы такого рода. [...] Еще хуже обстоит дело с лансмом: до сих пор нет ни объективного описания грамматики лансмол в целом, ни каких-либо частных исследований по его грамматике. [...] Вместе с тем, вовлечение широких масс норвежского народа в языковую борьбу имело своим результатом не освоение народом своего языка, а скорее то, что рядовой норвежец, как бы он ни был невежествен в языковедении, как правило, убежден в том, что он вполне компетентен решать любые языковедческие проблемы.

В основе норвежского языкового движения, помимо представления о «народном языке» в самом туманном и демагогическом смысле этого выражения, лежало также представление о том, что развитие языка можно сознательно направлять в том или ином направлении, т. е. «планировать» его. История норвежского языкового движения за последние сто с лишком лет — это разительное опровержение правильности этого представления.

სკანდინავიური ენების თანამედროვე ისტორიიდან მოყვანილი ეს მწირი მაგალითებიც, ვფიქრობთ, ნათლად აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის საზოგადოებრივი მოღვაწე იყო ენათმეცნიერი, ვინც ენობრივ პროცესებში ჩარევას და ენის განვითარების გარკვეული, მათთვის სასურველი გზით წარმართვას ცდილობდა, შეიძლება საუკეთესო და ყოვლად მოსაწონი მიზნებითა და მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ მათი ძალისხმევა უმეტესწილად ფუჭი აღმოჩნდება ხოლმე, რამდენადაც ენა (ნორვეგიული იქნება ეს, შვედური თუ რომელიმე სხვა) საკუთარი კანონზომიერებების მიხედვით ვითარდება და მასზე მოლაპარაკეთა (რაოდენ პატრიოტულად მოტივირებულნიც არ უნდა იყვნენ ისინი) შეგნებულ ზემოქმედებას პრაქტიკულად არ ემორჩილება.

4. შეჯამება

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ენობრივ პროცესებში (ქართული ენა იქნება ეს თუ რომელიმე სკანდინავიური) ხელოვნური ჩარევისა და „ენის დაგეგმვის“ დროს წარმატება გარანტირებული არ არის და ამგვარი ჩარევის განმახორციელებელი შინაგანად მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ მისი „ინტერვენციის“

შედგები, უმეტეს შემთხვევაში თუ არა ხშირად მაინც, ფრიად უმნიშვნელო შეიძლება აღმოჩნდეს. ენას თითქოს თავისი „ინერციის მომენტი“ აქვს აღებული და მისი განვითარების კურსისა და მიმართულების შეცვლა საკმაოდ ძნელია ხოლმე, თუ არა შეუძლებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა ამგვარ ლექსიკურ-ინოვაციურ ძალისხმევათა შედეგების მონიტორინგი და წარმატებულობის შეფასება. ასე მაგალითად, საინტერესო იქნება იმის დადგენა, თუ რამდენად დამკვიდრდა სამხედრო დარგის მეტაენაში თავის დროზე ჩვენ მიერ საქართველოს სამხედრო აკადემიის თანამშრომელთათვის (მათივე უშუალო თხოვნის საფუძველზე) შეთავაზებული ტერმინები „რეგიმენტი“ („პოლკის“ [*რუს. полк*] ნაცვლად) და „კოლონელი“ („პოლკოვნიკის“ [*რუს. полковник*] ნაცვლად). ლულაზე კვლავ „ნაჭდევიანის“ (rifled) ამბობენ თუ არა და სხვ. ასევე საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენად აქვს ფეხი მოკიდებული რაგბის მოთამაშეთა და მწვრთნელთა წრეში იმ სარაგბო ტერმინებს, რომლებსაც ჩვენი სპორტული ჟურნალისტები და კომენტატორები ინტენსიურად და დიდი გულმოდგინებით იყენებენ. ასეთებია მაგ. „ბურჯი“, „კვაჭი“, „მგეზავი“, „ბურთის ალაღზე დაჭრა“, „აბრაგანი“ და სხვ.

ყველა ამგვარი ნეოლოგიზმის თუ ინოვაციური ლექსიკური შემოთავაზების წარმატებულობის შეფასებისას ენათმეცნიერებმა უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი ლინგვისტური ალღოთი, ანალიზის უნარით და შემოქმედებითად და ეფექტიანად გამოვიყენოთ კორპუსული თუ სხვა ელექტრონული რესურსების წყალობით ხელმისაწვდომად ქცეული დიდძალი ტექსტური და ენობრივი ინფორმაცია, რათა ნელა მიმდინარე და ძნელად შესამჩნევი დიაქრონიული პროცესების აღქმა და სწორად შეფასება შევძლოთ.

5. დასკვნა

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომში განხილული მაგალითები ჩვენი არცთუ ხანმოკლე ლექსიკოგრაფიული გამოცდილებიდან ნათლად აჩვენებს, რომ ლექსიკონებზე მუშაობა საფუძვლიან ლინგვისტურ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს და ამავდროულად თავად არის ფრიად საინტერესო ინფორმაციისა და დასკვნების უმრეტი წყარო. ლექსიკონზე მუშაობამ ოდნავ მაინც გამჭრიახ მეცნიერს ფასდაუდებელი ინფორმაცია და მონაცემები შეიძლება მიაწოდოს ენის ლექსიკისა და მორფოლოგიის დიაქრონიული განვითარების შესახებ. ამგვარად, პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმე რეალური ზღვრის გავლება ლექსიკონზე მუშაობასა და „წმინდა სახის“ სამეცნიერო მუშაობას შორის.

რაც შეეხება ზემოთ განხილულ კონკრეტულ საკითხებს, ვფიქრობთ, მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენაში ახალი ლექსიკური ერთეულების თუ ნეოლოგიზმების დამკვიდრება-არდამკვიდრება და თვით წარმოქმნა რამდენადმე სპონტანური პროცესია და განპირობებულია ენობრივი კოლექტივის სტატისტიკური უმრავლესობის მიერ მიღებული სამეტყველო გადაწყვეტილებებით, რომელთა მიღების დროსაც ცალკეული ინდივიდები საკუთარი საკომუნიკაციო მიზნებითა და ამოცანებით ხელმძღვანელობენ.

ამდენად, ენის განვითარებაზე ზემოქმედებისა და ენობრივ პროცესებში ხელოვნური ჩარევის ეფექტიანობა, შედეგიანობა და საბოლოო ჯამში, თავად მიზანშეწონილობა რამდენადმე სათუოდ გვესახება.

6. გამოყენებული წყაროები

- ავტომობილი. ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომა №13. 26.07.2013. Wordpress. <https://indiko1.files.wordpress.com/2013/07/e1839ae18394e183a5e183aae18398e18390-e183a1e183a1e18393e18390e18394e183ac.pdf> (17.09.2023).
- გიგინეიშვილი, ბ. 2016. ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა – მ). თბილისი.
- დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი (მთავარი რედაქტორი თ. მარგალიტაძე, 2010). თბილისი : ლექსიკოგრაფიული ცენტრი. www.dict.ge
- ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინ-ლექსიკონი (2011). თბილისი : ლექსიკოგრაფიული ცენტრი. <http://mil.dict.ge>
- მელაძე გ. 2022. ენაში ანალიტიზმის წარმოქმნის მიზეზები. დეგრადაცია თუ განვითარება? (თანამედროვე ქართული ენისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ტენდენციის მაგალითზე). ბათუმის IV საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“ (დეკემბერი, 2022).
- ტექნიკური ტერმინოლოგია. 1977. თბილისი. „მეცნიერება“.
- ტექნიკური ტერმინების ინგლისურ-რუსულ ქართული ონლაინ-ლექსიკონი (2016). თბილისი : ლექსიკოგრაფიული ცენტრი. <http://techdict.ge>
- ქართულიენისგანმარტებითილექსიკონი(არნ.ჩიქოზავასსაერთოორედაქტორობით, 1950 – 1964. I – VIII ტომები. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
- შაიშმელაშვილი, ივ. 1987. სამხედრო ტერმინოლოგია. „განათლება“, თბილისი.
- Кан, А. С. 1980. История скандинавских стран (Дания, Норвегия, Швеция). Москва «Высшая школа» .
- Стеблин-Каменский, М. И. 1968. Возможно ли планирование языкового развития? (норвежское языковое движение в типике) <http://norroen.info/articles/steblink/planning.html> (11.10.2023)

The Nature of Language Change

(on the example of Georgian neologisms)

George Meladze
Ilia State University, Georgia
giorgi.meladze.4@iliauni.edu.ge

Abstract

We have often noted that lexicography is a science, while lexicographers are linguists working on dictionaries. Without having a substantial linguistic background, it is absolutely impossible to work on a dictionary. On the other hand, working on a dictionary allows linguists to obtain and analyse a large amount of linguistic information and to make interesting scientific conclusions.

In this regard, the period which began in the 1990s and continues to this day is of particular interest. After the restoration of Georgia's independence back in 1991, three sociolinguistically important factors came into play, which led to the rapid development of the Georgian vocabulary. These factors are as follows: (1) the acquisition by Georgian of the status of the state language of an independent nation; (2) the transition to a free-market economy with the introduction of a multi-party pluralistic political system and the elimination of the totalitarian state ideology; and (3) the advent and widespread use of the latest computer and mobile technologies. All these three factors posed a serious challenge to the Georgian language and the Georgian-speaking community, as far as it became necessary to develop words, expressions and terms which would reflect the new realities and to introduce them into the everyday speech practice.

That is why over the past few decades the Georgian language has become a very interesting object for observation, study and analysis and provides ample material for making some interesting conclusions of general scientific nature.

In this article, we will not touch upon the morphosyntactic processes taking place in the modern Georgian language, but will instead mainly analyse the vocabulary of the Georgian language and the terminological, technological and general neologisms which have recently appeared in it (in a somewhat broader sense of the word "neologism").

Observation has showed that when it became necessary to reflect the changed reality by means of the Georgian language, many of those words and terms, which had been previously proposed by the normative linguistics (instead of which Russian barbarisms were usually used in everyday life), failed take root in the language.

Thus, for example, instead of the word ცეცხლსაქრობი *'tsetskhl sakrobi'* ("fire extinguisher"), proposed by normative dictionaries, the word ცეცხლმაქრი *'tsetskhl makri'* became widely and universally accepted; similarly, ყურსასმენი *q'ursasmeni*

(“headphones”) took root in preference to the normative საყურისი *saq'urisi*; დამიწება *damits'eba* (“earthing” – a term from the field of electrical engineering) instead of the recommended ჩამიწება *chamits'eba*; „მონტენეგრო“ *mont'enegro* (a former Yugoslav republic) instead of the correct (for the Georgian language) form ჩერნოგორია *chernogoria* (< Црна Гора/‘Crna Gora’ in Serbo-Croatian), and so on.

Such facts allow us to think that the emergence of new words (as well as of new grammatical constructions, by the way) in a language is a spontaneous process which is determined by various sociolinguistic and psycholinguistic factors.

All this raises the question of the very nature of language change as such. This can be considered an interesting question not only for the Georgian language, but also for linguistics in general. In our article we shall try to analyse: (1) the mechanism of change (*i.e.* that of the emergence of new words, idioms or grammatical constructions) in language; and (2) where possible – the supposed psycholinguistic and/or sociolinguistic factors underlying such changes. We shall briefly touch upon and analyse this subject on the example of several so-called learned loanwords borrowed by the Swedish (and other mainland Scandinavian languages) from the Old Norse or (Old) Icelandic languages (Sw. *idrott* “sports”, *skald* “poet”, *etc.*), as well as on the example of Nynorsk (“New Norwegian”), which was known as Landsmål until 1929.

Keywords: diachrony, lexicography, lexicon, neologisms